



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

კოლეჯი „განთიადი“

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 56

09 ივლისი 2019 წელი

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი განთიადის დირექტორის 2018 წლის 15 ივნისის N 42 ბრძანების „წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების და ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კოლეჯი „განთიადის“ წესდების მე-5 მუხლის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის 2018 წლის 15 ივნისის N 42 ბრძანება „წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
2. დამტკიცდეს ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი“ დანართი N 1-ს შესაბამისად;
3. დაევალოს ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ საქმის მწარმოებელს მარინე ამბრიაშვილს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესის განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
5. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გორის რაიონულ სასამართლოში (ქ.გორი სერგო ჯორბენაძის ქ.#30).

დირექტორი



ანა დათუაშვილი



დანართი N1

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის

2019 წლის 02 ივლისის N 56 ბრძანებით

ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1.შესავალი

1.ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ (შემდგომში - „კოლეჯი“) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი (შემდგომში -წესი) სავალდებულოა შესასრულებლად კოლეჯში დასაქმებულ პირთათვის და პროფესიულ სტუდენტთათვის.

მუხლი 2.ზოგადი დებულება

1.ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ (შემდგომში-კოლეჯი) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი არეგულირებს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა მიერ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

2.საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კოლეჯში ყველა დასაქმებული სარგებლოს თანაბარი მოპყრობით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

მუხლი 3.კოლეჯის წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა.

1.წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით კოლეჯს ემსახურება 3 დარაჯი. შენობის მეორე სართულზე წესრიგის უზრუნველსაყოფად შედგენილია მასწავლებლების მორიგეობის ცხრილი.

2.წესრიგის დაცვისა და დარღვევათა პრევენციის მიზნით კოლეჯის შენობაში დამონტაჟებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემები. (შენობის მეორე სართულზე განთავსებულია 3 ერთეული კამერა და პირველ სართულზე 1 ერთეული კამერა) ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ჩანაწერები ინახება დარაჯის ოთახში და მათი მესამე პირებზე გადაცემა დაუშვებელია.

3.აკრძალულია დაწესებულების შენობაში ცეცხლსასროლი, ადვილად აალებადი ან ცივი იარაღით შესვლა.

4.აკრძალულია კოლეჯის შენობაში თამბაქოს მოწევა. თამბაქოს მოწევა შესაძლებელია შენობის გარეთ.

5.აკრძალულია კოლეჯის შენობაში ან ეზოში ალკოჰოლის მიღება ან გადაადგილება ალკოჰოლის შემცველი ნივთიერებების გახსნილი კონტეინერით (ქილა,ბოთლი და სხვა). პირი რომელიც იმყოფება ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ვალდებულია დატოვოს შენობა.

6.აკრძალულია კოლეჯის ტერიტორიაზე ხმაური და მუშობისათვის ან/და მეცადინეობისათვის სხვაგვარი ხელის შეშლა.

მუხლი 4. დარაჯი

- 1.საშტატო განრიგის შესაბამისად, კოლეჯის სადღეღამისო ცვლაში დასაქმებული დარაჯი უზრუნველყოფს კოლეჯში ტერიტორიის წესრიგის დაცვა.
- 2.კოლეჯში განთავსებული მატერიალური ფასეულობების (ქონების) დაცვის მიზნით, მათი დაზიანების და /ან განადგურების თავიდან ასაცილებლად, მატერიალური პასუხისმგებლობის მქონე პირი და დარაჯი ახორციელებენ ქონების დაცვას და უზრუნველყოფენ შესაძლო ზომების გამოყენებას.
- 3.კოლეჯის ტერიტორიაზე (შენობა და ეზო) წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი.
4. კოლეჯის დარაჯი ვალდებულია წესრიგის დარღვევის ავარიულ ან/და სხვა საგანგებო მდგომარეობის შექმნისას დაწესებულების დირექტორისათვის ან/და დირექტორის სხვა წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება უზრუნველყოს. ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ოპერატიული ინფორმაცია გაუკეთოს/მიაწოდოს შესაბამის სამსახურს 112.

დასკვნითი დებულება

წინამდებარე წესში ცვლილილებების და/ან დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.